| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (III საფეხური) | | | |
|---|---|---|---|
| აგრარული ტექნიკის მექანიკოსი | | | |
| | პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS) | | |
| | 70 | | |
| | მისანიჭებელი კვალიფიკაცია | | |
| | აგრარული ტექნიკის მექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | | |
| | სწავლების ენა | | |
| | ქართული | | |
| | საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი | | |
| | პროგრამის მიზანია, მოამზადოს აგრარული ტექნიკის მექანიკოსი, რომელსაც შეეძლება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების: საზეინკლო, სახარატო და საშემდუღებლო სამუშაოების ჩატარება, მიმდინარე და კაპიტალური რემონტების და საექსპლუატაციო საკითხებთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება; აგრეგატების კვანძებად დაშლა , მათი დიაგნოსტირება და შესაბამისი სამუშაოების შესრულება, ტექნიკური უზრუნველყოფა და ნორმატიული პარამეტრების მიხედვით კორექტირება. | | |
| | საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი | | |
| | ცოდნა და გაცნობიერება | აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს | ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების აგებულება, მათი დააგრეგატება, ტექნიკის ტექნიკური მომსახურების |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. | სამუშაოები, უსაფრთხოების წესები, საზეინკლო, სახარატო და საშემდუღებლო სამუშაოები. შესაბამისი სამუშაოების აზომვა, აგროქიმია და ნიადაგმცოდნეობა. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრუ-ლების დროს აგრეგატების დარეგულირება, მოძრაობის წესები |
| | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვა-დასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები | პირველადი სამედიცინო დახმარება, უსაფრთხოების წესების დაცვა, განახორციელოს აგრარული ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობის ზედაპირული გამოკვლევა, სამუშაოსათვის დამახასიათე-ბელი სხვადასხვა ელემენტებისა და განსაზ-ღვრული ვალდებულებების თანმიმ-დევრული შესრულება. საზეინკლო, სახარატო და საშემდუღებლო სამუშაოები. შესაბამისი სამუშაოების აზომვა, ნიადაგის შესწავლა, მისი მოვლა,ტრაქტორის მართვა და აგრეგატების დარეგულირება. საჭირო ხელსაწყოებისა და იარაღების ხმარება. |
| | დასკვნის გაკეთების უნარი | შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭ-რელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი. | სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომხმარე-ბელთა საჭივრების გააზრება და შესაბამისად დროული რეაგირება, ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დეფექტის აღმოჩენა და გადაწყვეტილების მიღება მისი აღმოფხვრის თაობაზე. |
| | კომუნიკაციის უნარი | შეუძლია ზეპირი და წერილობითი<br><br>კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავში-რებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავ-შირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძ- | დამქირავებელთან, კოლეგებთან ფუნქცი-ების განაწილების თაობაზე, ინფორმაციის გაცვლის ტექნიკური ან სხვა საკითხებისა და პრობლემების მოგვარების მიზნით კომუნიკაცია; სამუშაო ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის, ხელსაწყოების, ტექნიკური დოკუმენტაციის, ინსტრუქ-ციების, ეტიკეტების, შენიშვნების გაგება; |

| | | |
|---|---|---|
| | ლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება. | საქმიანობისათვის აუცილებელი სპეცი-ალური ჟურნალების შევსება; მოთხოვნის შემთხვევაში სამუშაო გეგმისა და ანგარიშის<br><br>შედგენა; საჭიროების შემთხვევაში მომხმარებლებთან ელემენტარული კომუ-ნიკაცია უცხო ენაზე; ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ეფექ-ტური<br><br>გამოყენება სამსახურებრივი საქმიანო-ბისათვის; აქვს სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელ ადამიანებთან ურთი-ერთობის უნარი. |
| სწავლის უნარი | შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხიმგებლობის აღება | შეუძლია სწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით და საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. |
| ღირებულებები | განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. | საქმიანობისას მკაცრად იცავს დისციპ-ლინას და დადგენილ ნორმებს; მისთვის მინდობილ ფასეულობებთან დაკავშირებულ სამუშაოსა და უშუალოდ ფასეულობებს გადააბარებს სხვა პირს და ასევე ასრულებს იმ სამუშაოებს, რომლებიც შედის მისთვის დაკისრებულ მოვა-ლეობებში |

**შეფასების წესი**

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- **(A)** - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- **(B)** - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- **(ß)** - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- **(E)** - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

| | |
|---|---|
| | • **(FX)** - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.<br>• **(F)**- ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br><br>მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.<br><br>პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.<br>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.<br><br>**შეფასების ფორმა:**<br>• შუალედური შეფასება;<br>• დასკვნითი შეფასება.<br><br>**შეფასების მეთოდი:**<br>• ტესტირება;<br>• წერითი დავალება<br>• დაკვირვება<br>• ანგარიში/პრეზენტაცია |
| 1. საკონტაქტო პირი (ჯემალ კახაძე /599 939100/- / ქ.თბილისი, ჭავჭავაძის №19) | |

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (III საფეხური)**

ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი(წვრილცხოველთა:ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველების და თევზების და სხვა)

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)**

**60**

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის (წვრილ ცხოველთა:ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველების და თევზების და სხვა) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**სწავლების ენა**

**ქართული**

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი**

მოამზადოს თანამედროვე ვეტერინარ ექიმის დამხმარე, რომელსაც ეცოდინება დაავადებული ცხოველის ან ფრინველის მიღება, გამოკვლევა და პირველადი დახმარება; შეეძლება ცხოველთან მისვლა და მისი ფიქსაცია, დაავადებული ცხოველის განსაზღვრა ამა თუ იმ დაავადების მიმართ; ეცოდინება ინექციის, პუნქციის და გადასხმის ტექნიკა, ვაქცინაცია შრატებით და ვაქცინებით, ასევე კანქვეშ და კუნთებში ინექციების ჩატარება.

**საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი**

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ნაბიჯების გაცნობიერება | იცის: ცხოველებისა და ფრინველების ანატომია და ფიზიოლოგია; მათი სახეობრივი თავისებურებები; დაავადებები (მათ შორის ადამიანისა და ცხოველის საერთო) და პათოლოგიური პროცესები, რომლითაც ცხოველები და ფრინველები ავადდებიან; ცხოველისა და ფრინველის ფიქსაციის მეთოდები და წესები; გამოსაკვლევ გარემოებათა იდენტიფიცირების მეთოდები. ფლობს ცხოველებისა და ფრინველების დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების უნარ-ჩვევებს და ცოდნას. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | გაცნობიერებული აქვს პირადი და გარემოს უსაფრთხოების, ასევე, სავეტერინარო კანონმდებლობითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები. |
| | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომის შეფასება, სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევა და მისადაგება. | შეუძლია: ცხოველისა და ფრინველის დაავადებების შესახებ პატრონისგან ანამნეზური მონაცემების შეგროვება და მისი მიზნობრივი გამოყენება;ცხოველებისა და ფრინველების მომზადება სხვადასხვა სახის ვეტერინარიული მანიპულაციების ჩასატარებლად; სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალებების მიზნობრივი გამოყენება; ცხოველების ფიქსაცია; ჩატარებული ვეტერინარიული მომსახურების რეგისტრაცია; ვეტერინარი ექიმის ასისტირება მკურნალობის კურსის ჩატარებაში, ინექციისა განხორციელება ვეტერინარი ექიმის ზედამხედველობის ქვეშ. |
| | დასკვნის გაკეთების უნარი | განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი | შეუძლია მიღებულ ინფორმაციას გაუკეთოს ანალიზი და გააკეთოს სწორი დასკვნები, მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები. მოამზადოს ინფორმაცია ჩატარებული მუშაობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს დიპლომირებულ ვეტერინარ ექიმს. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | კომუნიკაციის უნარი | ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია<br><br>პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება, უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება. | არსებული სიტუაციიდან გამომდინარე შეუძლია შესაბამისი ახსნა განმარტება მისცეს ცხოველის და ფრინველის მეპატრონეს. შეუძლია კომუნიკაცია აწარმოოს, როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე. შეუძლია კომპი-უტერული პროგრამების გამოყენება ინფორმაციის მოძიებისა და გაზიარების მიზნით. |
| | სწავლის უნარი | წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. | შეუძლია დამოუკიდებლად ვეტერი-ნარიული საქმიანობის შესახებ ახალი ინფორმაციისა და ცოდნის მიღება. უნარი შესწევს დაგეგმოს საკუთარი სწავლა და განსაზღვროს შემდგომი სწავლებისათვის აუცილებელი მოთ-ხოვნები. |
| | ღირებულებები | განსხვავებულ სიტუეებში პროფე-სიული საქმიანობისათვის დამახასი-ათებელი ღირებულებების შესაბამი-სად მოქმედება. | იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. უყვარს ცხოველები და ფრინველები. უნარი შესწევს წარმატებით ჩაერთოს ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში. გაცნობიერებული აქვს დარგის სპეციფიკა და მისი სოციალური მნიშვნელობა. |
| | **შეფასების წესი** | | |
| | პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:<br><br>• ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;<br><br>• პრაქტიკულ მეცადინეობას;<br>• დამოუკიდებელ მეცადინეობას;<br>• სასწავლო პრაქტიკას; | | |

- საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

**XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება**

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- **(A)** - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- **(B)** - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- **(ჩ)** - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- **(E)** - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- **(F)**- ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასებადაუშვებელია.
პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

**შეფასების ფორმა:**
- შუალედური შეფასება;
- დასკვნითი შეფასება.

**შეფასების მეთოდი:**
- ტესტირება;
- წერითი დავალება

- დაკვირვება
- ანგარიში/პრეზენტაცია

2. საკონტაქტო პირი (იაკობ მანჯგალაძე/შუქრი სილაგაძე/ 557513500/ manjgaladze@posta.ge / სამტრედია, დიდი ჯიხაიში)

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (III საფეხური)**

**მელიორატორი (აგრომელიორატორი, ჰიდრომელიორატორი)**

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)**

**60**

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

მელიორატორის (აგრომელიორატორი, ჰიდრომელიორატორი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**სწავლების ენა**

**ქართული**

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი**

მოამზადოს მესამე საფეხურისმელიორატორი (აგრომელიორატორი, ჰიდრომელიორატორი), რომელიც შეძლებს სარწყავი მიწათმოქმედების თავისებურებების განსაზღვრას; მცენარეთა წყალმოთხოვნილების განსაზღვრას; სარწყავი და დასაშრობი ფართობების აზომვას;დაშრობითი მელიორაციის ძირითად ამოცანების, ასევე დაჭაობებისა და გადატენიანების მიზეზების გააზრებას, დაშრობის ძირითადი მეთოდების და ხერხების გამოყენებას; აგრომელიორაციული სამუშაოების წარმოებას და შესაბამისი წესების დაცვით სხვადასხვა აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებას; დამსაქმებლის საქმიანობის გააზრებას და სამუშაო პრიორიტეტების განსაზღვრას;მონაცემების გადამუშავების პროცესში უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში მათი გამომწვევი მიზეზების შეცნობას და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით პრობლემის მოსაგვარებელი ალტერნატიული გზების მოძებნას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი**

| | |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | იცის სარწყავი მიწათმოქმედების თავისებურებანი. მცენარეთა წყალმოთხოვნილების განსაზღვრის მეთოდები გარემო პირობებთანკავშირში; სარწყავი და დასაშრობი ფართობების აზომვა; წარმოდგენა აქვს დაშრობითი მელიორაციის ძირითად ამოცანებზე. იცის დაჭაობებისა და გადატენიანების მიზეზები, დაშრობის ძირითადი |

| | |
|---|---|
| | მეთოდები და ხერხები. იცის აგრომელიორაციული სამუშაოების წარმოება და სხვადასხვა აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარების წესები. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია დამსაქმებლის საქმიანობის გააზრება და სამუშაო პრიორიტეტების განსაზღვრა; შეუძლია მონაცემების გადამუშავების პროცესში უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში მათი გამომწვევი მიზეზების შეცნობა და მიღებულ ინფორმაციაზედაყრდნობით პრობლემის მოსაგვარებელი ალტერნატიული გზების მოძებნა; საჭიროების შემთხვევაში აქვს სხვადასხვა სამუშაო უბნებზე ადაპტირების უნარი. შეუძლია საქმიანობისათვის აუცილებელი სპეციალური ჟურნალების შევსება, მოთხოვნის შესაბამისად სამუშაო გეგმისა და ანგარიშის შედგენა, |
| დასკვნის უნარი | შეუძლია წყალმომხმარებელთა და მესაკუთრეთა საჩივრების გააზრება და ადეკვატური ზომების მიღება. შეუძლია დროული რეაგირებისათვის ხელმძღვანელების საქმის კურსში ჩაყენება. ფართობიდან ჭარბი ტენის გატანის დროული უზრუნველყოფა. |
| კომუნიკაციის უნარი | შეუძლია სამუშაო ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის, ხელსაწყოების ტექნიკური დოკუმენტაციის, ინსტრუქციების, ეტიკეტების, შენიშვნების გაგება; საჭიროების შემთხვევაში შეუძლია წყალმომხმარებლებთან უცხო ენაზე ელემენტარული კომუნიკაცია და ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება სამსახურებრივი საქმიანობისათვის; აქვს სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელ ადამიანებთან ურთიერთობის უნარი. შეუძლია ანგრიშის წარდგენა შესაბამის ორგანოებში და საჭიროების შემთხვევაში ახსნა-განმარტებების მიცემა; შეუძლია სხვადასხვა სპეციფიკურ კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა. |
| სწავლის უნარი | სამუშაოს უკეთ განხორციელების მიზნით შეუძლია ახალი ცოდნის მიღების საშუალებების დამოუკიდებლად მოძიება და შემდგომი სწავლის დაგეგმვა. |
| ღირებულებები | კრიტიკულ არაპროგნოზირებად სიტუაციებში იცავს საქმიანობის დაწესებულ ეთიკურ ნორმებს და უზიარებს მათ კოლეგებს. |

## შეფასების წესი

ხუთი სახის დადებით შეფასება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასებადაუშვებელია.
პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

**შეფასების ფორმა:**

- შუალედური შეფასება;
- დასკვნითი შეფასება.

**შეფასების მეთოდი:**

- ტესტირება;
- წერითი დავალება;
- დაკვირვება;
- ანგარიში/პრეზენტაცია

3. საკონტაქტო პირი (გივი გავარდაშვილი /593 153470/ givi.gavardashvili @gtu.ge / ქ. თბილისი, ვარკეთილი -3, მე-2 მ/რ, კორპ. 29-ა, ბ. 17)

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (III საფეხური) |
|---|
| სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი |
| პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS) |
| 60 |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია |
| სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია |
| სწავლების ენა |

## ქართული

### საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის საქმიანობა საზოგადოებისათვის ეკოლოგიურად სუფთა, სასარგებლო სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი სისტემაა. იგი ორიენტირებულია საბაზრო მოთხოვნებზე და მოიცავს:

- სასურსათო პროდუქტების წარმოების მოთხოვნების შესაბამისადეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას;
- ძირითადი და დამხმარე ნედლეულისა და მზა პროდუქციის შემოწმება-შეფასებას არსებული სტანდარტული ნორმების შესაბამისად.

პროგრამის მიზანია მოამზადოს სასურსათო პროდუქტების წარმოებისსპეციალისტი, რომელსაცეცოდინება სასურსათო პროდუქტების წარმოების ზოგადი ტექნოლოგია; ტექნოლოგიურ პროცესებში გამოსაყენებელი მანქანა-დანადგარების აგებულება და დანიშნულება; აპარატურის, საკონტროლო საზომი ხელსაწყოების მუშა მდგომარეობაში მოყვანა; სანიტარულ ჰიგიენური ნორმებისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა;

### საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს; | იცის კვალიფიკაციის ფარგლებში მოწყობილობების, აპარატურის, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების მუშა მდგომარეობაში მოყვანის წესები; აქვს ამ სფეროსათვისდამახასიათებელი ძირითადი პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათე-ბელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები. | შეუძლია გამოიყენოს კვების პროდუქტების წარმოების სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, როგორიცაა კვების პროდუქტების წარმოების დანადგარებთან ოპერირება, რეჟიმების დაცვა, სხვადასხვა მიდგომები დავალებების შესასრულებლად და შეარჩიოს მათ შორის ოპტიმალური. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დასკვნის უნარი | შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი<br><br>წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი. | ზეპირი, წერილობითი თუ ვიზუალური ფორმით შეუძლია კომუნიკაცია – თავისი პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის საფუძველზე დასკვნის გამოტანა, როგორიცაა დანადგარების სიზუსტე, გაუმართაობა, სისუფთავე და სხვა, ასევე დაგეგმოს მისი აღმოფხვრის მეთოდები. |
| | | კომუნიკაციის უნარი | შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება. | შეუძლია ეფექტურად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებები, შეუძლია უცხოური ენის ცოდნის პრაქტიკული გამოყენება, ინტერნეტის გამოყენებით ახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების მოძიება და გაზიარება თანამშრომლებისთვის. |
| | | სწავლის უნარი | შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. | შეუძლია მიღებული ცოდნის გაღრმავება საკომუნიკაციო საშუალებებისა და ტექნიკური საინფორმაციო გამოცემების საშუალებით, სხვისი დახმარებით მათი ანალიზი. |

| | | |
|---|---|---|
| ღირებულებები | განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. | ყოველგვარ სიტუაციაში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. აცნობიერებს აღნიშნულ სფეროში შრომის უსაფრთხოების, ჰიგიენის დაცვის მოთხოვნებსა და ნორმებს. |

## შეფასების წესი

ხუთი სახის დადებით შეფასება:

- **(A)** - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- **(B)** - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- **(ჩ)** - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- **(E)** - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასება:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- **(F)**- ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასებადაუშვებელია.
პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

**შეფასების ფორმა:**

- შუალედური შეფასება;

- დასკვნითი შეფასება.

**შეფასების მეთოდი:**

- ტესტირება;
- წერითი დავალება
- დაკვირვება
- ანგარიში/პრეზენტაცია

**4. საკონტაქტო პირი (როზა ხუციშვილი/599 17 67 33/ rozakhutsishvili@gtu.ge / ქ. თბილისი, დიდი ხეივნის ქ. 21)**

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (III საფეხური)

## ტრაქტორისტ - მემანქანე

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)**

**40**

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

ტრაქტორისტ - მემანქანის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**სწავლების ენა**

**ქართული**

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი**

ტრაქტორისტ-მემანქანე წარმოადგენს ინჟინერიის მიმართულების აგროინჟინერიის დარგობრივი სფეროს პროფესიულ კვალიფიკაციას. შესაბამისად, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის რესურსდამზოგ სამანქანო ტექნოლოგიების გამოყენებასთან.

ტრაქტორისტ-მემანქანის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელი პირი შეასრულებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამანქანო ტექნოლოგიებით წარმოებას თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. პროფესია ორიენტირებულია რესურსდამზოგი ტექნოლოგიების პრინციპებისა და პრაქტიკის გამოყენებაზე, რაც პირდაპირ კავშირშია აგროკომპანიების და ფერმერული მეურნეობების წარმატებულ საქმიანობასთან.

პროგრამის მიზანია მოამზადოს ტაქტორისტ-მემანქანე, რომელსაც კვალიფიკაციის შესაბამისად შეეძლება ტრაქტორების (თვლიანი; მუხლუხა) და თვითმავალი შასების მართვა საგზაო მოძრაობის წესების სრული დაცვით; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის, მეცხოველეობის საკვების დამზადებისა და

| | | | |
|---|---|---|---|
| | მოსავლის აღების საქმიანობასთან დაკავშირებული სამანქანო ტექნოლოგიები, სატრაქტორო აგრეგატების შედგენა, დაკომპლექტება და მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო პროცესების ჩატარება. | | |
| | **საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი** | | |
| | ცოდნა და გაცნობიერება | აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. | იცის საბაზო მოდელის (თვლიანი და უხლუხა) ტრაქტორების ზოგადი აგებულება; ტრაქტორებისა და სატრაქტორო აგრეგატების მართვისას უსაფრთხოების ტექნიკის საერთო მოთხოვნები; იცის საგზაო მოძრაობის და ტვირთის გადაზიდვის წესები, იცნობს ტრაქტორის სამუშაო მოწყობილობებს და იცის საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების გამოყენება.<br><br>იცის მექანიზებული სამუშაოების ტექნოლოგია - ხვნა, ფარცხვა, კულტივაცია, თესვა, ნიადაგში სასუქების შეტანა, მცენარეების მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვა, მოსავლის აღება, თიბვა, სატრაქტორო აგრეგატების შედგენა და მუშა ორგანოების რეგულირება. იცის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის, მეცხოველეობის საკვების დამზადებისა და მოსავლია აღების საქმიანობასთან დაკავშირებული სამანქანო ტექნოლოგიები.<br><br>აცნობიერებს სატრაქტორო აგრეგატების შედგენის, დაკომპლექტებისა და მათი სერვისის ძირითად პრინციპებს, აგრეთვე, მექანიზებული სასოფლო- სამეურნეო პროცესების ჩატარებას. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ცოდნა და გაცნობიერება | აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრუ-ლებლად აუცილებელ ნაბიჯებს. | იცის საბაზო მოდელის (თვლიანი და უხლუხა) ტრაქტორების ზოგადი აგებულება; ტრაქტორებისა და სატრაქტორო აგრეგატების მართვისას უსაფრთხოების ტექნიკის საერთო მოთხოვნები; იცის საგზაო მოძრაობის და ტვირთის გადაზიდვის წესები, იცნობს ტრაქტორის სამუშაო მოწყობილობებს და იცის საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების გამოყენება. იცის მექანიზებული სამუშაოების ტექნოლოგია - ხვნა, ფარცხვა, კულტივაცია, თესვა, ნიადაგში სასუქების შეტანა, მცენარეების მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვა, მოსავლის აღება, თიბვა, სატრაქტორო აგრეგატების შედგენა და მუშა ორგანოების რეგულირება. იცის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის, მეცხოველეობის საკვების დამზადებისა და მოსავლია აღების საქმიანობასთან დაკავში-რებული სამანქანო ტექნოლოგიები. აცნობიერებს სატრაქტორო აგრეგა-ტების შედგენის, დაკომპლექტებისა და მათი სერვისის ძირითად პრინციპებს, აგრეთვე, მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო პროცესების ჩატარებას. |
| | | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები. | შეუძლია ტრაქტორის ძრავას მომზადება გასაშვებად, იცის ზამთარში და ზაფხულში ძრავას გაშვების თავისებურებანი; ტრაქტო-რების (თვლიანი; მუხლუხა) და თვითმავალი შასების მართვა;<br>საგზაო მოძრაობის წესების სრული დაცვით მოძრაობა. ტრაქტორის მისვლა მისაბმელ და |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | საკიდ სასოფლო-სამეურნეო მანქანასთან, მათი მიერთება ტრაქტორთან. დამოუკი-დებლად შეუძლია სამუშაო ორგანოს აწყობა და რეგულირება, აგრეგატის სამუშაოდ გამზადება და მუშა ორგანოების რეგულირება; შეუძლია აგრეგატის ტექნიკური მომსახურების ჩატარება სტანდარტული მეთოდიკის მიხედვით. შეუძლია სატრაქტორო აგრეგატების საშუალებით მექანიზე-ბული სამუშაოების შესრულება აგროტექნუკური მოთხოვნების სრული დაცვით. მუშაობის დროს აგრეგატის უწესივრობის აღმოჩენა და მათი აღმოფხვრა. |
| | | დასკვნის უნარი | შეუძლია განსხვავებულ სიტუა-ციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანლიზი. | შეუძლია ტრაქტორების მუშაობის დროს გარკვეული ხარვეზების ამოცნობა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების ჩატარება. გააჩნია სასოფლო-სამეურნეო პროცესების შესრულების დროს ხარვეზების დამოუკიდებლად აღმოფხვრის უნარი. შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში აგროტექნიკური მოთხოვნების დაცვის პირობებში სატრაქტორო აგრეგატის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებ-ლების ანალიზი და მათი შესრულების ოპტიმალური გზების ძიება. |
| | | კომუნიკაციის უნარი | შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავში-რებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. | შეუძლია ტრაქტორების და თვითმავალი შასების სამუშაოდ მომზადების და რეგულირებების წერილობითი მეთოდური მითითე-ბების წაკითხვა და გააზრება; |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავ-შირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება. | შეუძლია გაიგოს ტრაქტორებში გამოყენებული ზოგადი ტერმინოლოგია უცხო ენაზე და კომპიუტერის გამოყენებით ტექნიკის მუშაობის ტექნოლოგიური სქემების გაცნობა. შეუძლია ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მართვის წერი-ლობითი მეთოდური მითითებების წაკითხვა და გააზრება; თანამედროვე ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების საინფორმაციო ტექნოლოგიების ათვისება; შეუძლია სპეციალურ სახელმძღვანელოებში, ჟურნალებში ან ინტერნეტში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე სამან-ქანო ტექნოლოგიების სიახლეების შესახებ მასალების მოძიება; შეუძლია მიმდინარე სამუშაოების ჩატარების შესახებ მოკლე შენიშვნების ჩაწერა; კოლეგებთან და ხელმძღვანელებთან ტექნოლოგიური პროცესების და უსაფრთხოების ნორმების განხილვა. საზღვარგარეთის ენერგეტიკული და ტექნიკური საშუალებების მართვის ინსტრუქციების უცხო ენაზე წაკითხვა. |
| | სწავლის უნარი | შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება | შეუძლია კოლეგების გამოკითხვით და მათი გამოცდილების გაზიარებით ტრაქტორისტი-მემანქანის საქმიანო-ბის შესახებ ახალი ცოდნის მიღება. შეუძლია მემცენარეობის პროდუქ-ტების წარმოებაში თანამედროვე ტექნო-ლოგიების და | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ტექნიკური საშუალებების შესახებ ახალი ცოდნის<br>მიღება და მომავალი კარიერის დაგეგმვისათვის სწავლის საჭიროების განსაზღვრა. |
| | ღირებულებები | განსხვავებულ სიტუაციებში მოქმე-დებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. | პასუხისმგებლობით ეკიდება ტრაქ-ტორისტ-მემანქანის საქმიანობას;<br>იცავს და ასრულებს საგზაო მოძრაობის წესების მოთხოვნებს; იცავს უსაფრთხოების და საკონ-ტროლო-გამზომი ხელსაწყოების შენახვის წესებს; პასუხისმგებლობით ეკიდება სასოფლო-სამეურნეო ტექ-ნიკას და ტექნოლოგიური პროცესების<br>შესრულების ხარისხობრივი მაჩვე-ნებლების დაცვას. აქვს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებები. შეუძლია შესრუ-ლებული სამუშაოს ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვა აგროტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად; საქმი-ანობისას მკაცრად იცავს დის-ციპლინას და სასოფლო-სამეურნეო პროცესების შესრულების თანმიმ-დევრობას |
| | **შეფასების წესი** | | |
| | დადებითი შეფასებად ჩაითვალოს:<br>• (A) – ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91 % და მეტი;<br>• (B) – ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 % ;<br>• (C) – კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 % ;<br>• (D) – დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 %;<br>• (E) – საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 % | | |

| | |
|---|---|
| | უარყოფით შეფასებად ჩაითვალოს:<br>• (FX) – ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 %, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა ჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>• (F) – ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 % და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.<br>პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე, შეფასება დაუშვებელია.<br>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, გავიდეს დამატებით გამოცდაზე (დასკვნით გამოცდაზე) არანაკლებ 10 დღისა.<br><br>**შეფასების ფორმა:**<br>• შუალედური შეფასება;<br>• დასკვნითი შეფასება.<br><br>**შეფასების მეთოდი:**<br>• ტესტირება;<br>• წერითი დავალება<br>• დაკვირვება<br>• ანგარიში/პრეზენტაცია |
| 5. | საკონტაქტო პირი (ნუგზარ მიქაძე/ nugzarmiqadze@mail.ru /) |